ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3119689

ნომერი: AR1479700

თარიღი : 17.02.2017

გაცემის თარიღი : 02.03.2017

გაცნობის თარიღი : 25.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N38ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯამათა ჩარკვიანი პ/ნ 12001061760
- გარდაბანი ლელაშხას დას.

ორგანიზაცია:

- შპს აკა კოდი: 402039744

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 17 თებერვლის №AR1479700 განაცხადით მომართა ჯამათა ჩარკვიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №38ბ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.018.227) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 11 ივლისიდან 2018 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა ამხ. "ახალი დიღმის მასივი".
წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად შპს „აკას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402039744) დაფიქსირება.
ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №38ბ–ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.01.018.227) მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია:№882016699134, მომზადების თარიღი:25/10/2016 11:04:15) თანახმად, წარმოადგენს შპს „აკა“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16146801, მომზადების თარიღი:26/10/2016 10:27:30) თანახმად, შპს „აკას“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ჯამათა ჩარკვიანი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთის, რომელზეც სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აკა“ და სამსახურს ბრძანებაში დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით მომართავს მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „აკა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402039744). სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ივლისის №2705593 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.